ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 15 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 37

1920 წ.

აგვისტოს 8

ორი მილიონერი.

I. ასე გამოდის, შენ ნუ მოუკვდე დარისპანს, გუსარ ჩემო!.. თითო სიმიდის ტარო თითო მანეთად ხომ უნდა ვიანგარიშოთ!.. თითო ღეროზე რომ სრედნი ჩისლოთ ორ-ორი ტარო ჩავაგდოთ, ჩემი ათი ქცევა ყანა ნეუჟელი მილიონ მანეთად არ ღირს? გამოდის, რომ მე და შენ, გუსარ ჩემო, მილიონერები ვყოფილვართ! არა, თუ ძმა იყო?

II. მარგალიტი სიტყვაა, დარისპან ნუ მომიკვდება, მარგალიტი!

საბჭოთა რუსეთი

კომუნისტი (ინგლისელს, რომელიც მისკენ ზურგით არის) მე შენ გიჩვენებ სეირს, ისეთი დღე დაგაყენო.....

თავსატეხი საკითხი.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ღმერთი სამპიროვანია:

მამა ღმერთი,

ძე ღმერთი.

და სული წმინდა.

იმ მოვალეობათა სხვადასხვაობის გარდა, რომელიც თითოეულ წევრს სამპიროვანი უზენაესი ოჯახისას დაკისრებული აქვს, განსხვავება მათ შორის გარეგნულიც საკმაო არის.

მამა ღმერთი კეთილი, გრძელ თეთრ წვერა, სიმპატიური მოხუცია. დარწმუნებული ვარ გინახავთ!

ძე ღმერთი, — შუა ხნის, ლამაზი, სათნოიანი გამომეტყველების კაცია.

ხოლო სული წმინდა კი ცვალებადია. ის უმთავრესად მტრედსა ჰგავს, თუმცა ზოგჯერ ცეცხლის ენების სახესაც იღებს და ეს უმთავრესად მაშინ, როცა საჭიროა ვისმე სხვადასხვა ენები შეასწავლოს. ახალი აღთქმის ისტორიიდან ალბათ ესეც გეხსომებათ (სული წმინდის მოფენა).

როგორც მოგეხსენებათ მამა ღმერთი არავის არ გაუჩენია, მან მისით ინება თავისი თავის გაჩენა. ძე ღმერთი, ძეა, ანუ შვილია მამა ღმერთისა, ხოლო სულიწმინდის წარმოშობის შესახებ დიდი განხეთქილება და ბოლშევიკ-მენშევიკობა არსებობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა შორის.

აღმოსავლეთის ეკლესია ამბობს: „და სული წმინდა უფალი, რომელი გამოვალს მამისაგანო“ ე. ი. სული წმინდა მამა ღმერთისაგან გამომდინარეობსო. დასავლეთის ეკლესია არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მოგახსენებსთ: „და სული წმინდა უფალი, რომელი გამოვალს მამისაგან დაძისაგანო“, ე. ი. სული წმინდა უფალი ორივესაგან გამოდის მამისაგანაც და ძისაგანაც.

ამაშია მთავარი უთანხმოება ქრისტიანულ ეკლესიებისა.

ვიცი, მკითხველი დიდ საგონებელში იქნება ჩავარდნილი, ვინაიდან არ იცის რისთვის დასჭირდა ბ-ნ ეშმაკს დღევანდელ რევოლიუციონურ მომენტში ასე შორს ღვთის მეტყველებაში შეჭრა და გაღრმავება.

საქმე შემდეგშია: ამ წინაზე ერთი მეგობარი შემხვდა, გამაჩერა და შეწუხებული კითხა:

— ამხანაგო ეშმაკო, მითხარი თუ ღმერთი გწამს, შეუძლია თუ არა ღმერთს ისეთი ყუთის გაკეთება, რომელშიაც თითონ არ იქნება?

—აბა რა საკითხავია, ღმერთს რა არ შეუძლია, განა არ იცი რომ ყოვლის შემძლებელია?

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ დაგავიწყდება რომ ღმერთი აგრეთვე ყოველგან მყოფიც

საბჭოთა რუსეთი

კომუნისტი (ინგლისელს რომელიც მას უყურებს) გეხუმრებოდი ღმერთმანი..... აბა რა გაჯავრებს, ხუმრობა არ იცი....

არის და თუ ყუთში არ იქნება, მაშ ღმერთიც აღარ ყოფილა.

მე მართლაც დიდ საგონებელში ჩავარდი. მას შემდეგ სულ ამ საკითხზე ვფიქრობდი და ამას წამოეწია ჩვენი მღვდლების კრებაც. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო ღრმათ შემაცურა სარწმუნოებრივ საკითხში და დიდი ხნით დაგუბებულმა აზრებმა აი ახლა აავსო მოთმინების ფიალა და ნაპირები გადმოჰხეთქა. იმედია მომიტევებთ, მაშ განვაგრძოთ.—

სული წმინდის დანიშნულება, როგორც ერთ-ერთი წევრის ღვთაებრივი ოჯახისა, უმთავრესად სიმართლის ლაპარაკში მდგომარეობს. სიმართლეს ლაპარაკობს სულიწმინდა, როგორც თითონ, აგრეთვე ის პირიც რომელზედაც ის გადმოვალს. ძველ დროში სული წმინდა ხშირათ გადმოდიოდა და გადმოდიოდა ერის კაცებზედაც. ახლანდელ დროში მხოლოდ მღვდელ-მთავრებზე და მღვდლებზე გადმოდის. დიაკვნებსა და სტაროსტებზე ძლიერ იშვიათად თუ ინებებს გადმობრძანებას, ხოლო ერის კაცთაგან მარტოდ მარტო თედო ღლონტზე გადმოვიდა ბოლშევიკური ბონების სახით.

ამიტომ არის, როცა მსოფლიო კრება იკრიბება და რაიმე დადგენილება გამოაქვს ამბობენ:

— „ენება სულსა წმინდასა და ჩვენც“.

ასევე გახლავთ ქართულ საეკლესიო კრებებზედაც. ყველა მის დადგენილებას წინ უძღვის: „ენება სულსა წმინდასა და ჩვენც“. ყოველი დელეგატი ამ წმინდანთა კრებისა ლაპარაკობს არა თავისი პირით, არამედ სული წმინდის ზეშთაგონებით და მაშასადამე უნდა ლაპარაკობდეს სიმართლეს, უცვლელ სიმართლეს, როგორაც უცვლელია სიტყვა ღვთისა.

ჩვენმა მღვდლებმა კი სული წმინდას საარაკო ამბავი შეამთხვიეს: მართლ-მორწმუნე ქართველობა ჩემთან ერთად აღშფოთებულია ამ გარემოებით და თუ ხმას არ იღებს ეს იმიტომ, რომ ჩემი იმედი აქვს.

ბატონებო! თქვენ კარგათ გეხსომებათ შარშანდელი საეკლესიო კრების დადგენილებები. თუ არ გახსოვთ მე შემიძლია მოგაგონოთ ზოგიერთი მათგანი.

1) შარშან მაგალითად „სულსა წმინდასა და საეკლესიო კრებასაც ენება“, რომ მღვდელი და ეკლესიის მსახურნი მრევლს თითონ აერჩია თავისთვის.

წელს კი იმავე „სულსა წმინდანსა და საეკლესიო კრებას ენება“ მღვდელი და სხვა ეკლესიის მსახურნი დანიშნოს თფილისიდან საქართველოს კათალიკოსმა.

2) შარშან „სულსა წმინდასა და საეკლესიო კრებას ენება“, რომ მღვდელს შესძლებოდა რო-

ბიბლიოთეკა

საბჭოთა რუსეთი

კომუნისტი (ადირბეიჯანს) შე თათარო მამა.... მე, ვიცი, როგორი უნდა ასწავლო თათარს ჭკუა. აი როგორ, აი როგორ!

გორი ტანისამოსიც უნდოდა ისეთი ეტარებია და წვერიც ისე შეეხვინტილებია, რა ფასონიც მის სახეს მიუდგებოდა.

წელს კი „სულსა წმინდასა და საეკლესიო კრებას ენება“ რომ მღვდელმა არამც და არამც ანაფორის მეტი არაფერი ჩაიცვას, ხოლო წვერს მაკრატელი არ მიაკაროს.

3) შარშან „სულსა წმინდასა და საეკლესიო კრებასაც ენება“, რომ მიტროპოლიტებს, კათალიკოზს და ქვრივ მღვდლებს საკუთარი ცოლების თხოვის ნება მისცემოდათ და სხვისი ცოლების იმედით არ დარჩენილიყვენ.

წელს კი იმავ „სულსა წმინდასა და საეკლესიო კრებას ენება“ რომ მიტროპოლიტებს, კათალიკოზსა და ქვრივ მღვდლებს არამც და არამც არ მიეცეს საკუთარი ცოლის ნება, არამედ კვლავაც იყვნენ სხვათა ცოლების იმედით.

ბატონებო! ჩვენ ვიცით, რომ სიტყვა ღვთისა არ არის ცვალებადი. და უკეთუ ეს ასეა, როგორ მოხდა რომ შთაგონებული სული წმინდა შარშან კათალიკოზს საკუთარ ცოლს ანიჭებდა, წელს კი სხვისი ცოლების კაპრიზების ანაბარა სტოვებს? რაშია საქმე, როდის ლაპარაკობდა სიმართლეს სული წმინდა, შარშან, თუ წელს?

თუ შარშან ლაპარაკობდა სიმართლეს, მაშ წელს გადაუხვია ამ გზიდან, ხოლო თუ წელს ლაპარაკობს სიმართლეს, სჩანს შარშან სიცრუე მოუხსენებია.

გარწმუნებთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რომ მე კათალიკოზის მეუღლე მაინც და მაინც არ მაინტერესებს. მე მხოლოდ იმის გაგება მინდა, თუ როდის ლაპარაკობდა სული წმინდა სიმართლეს: შარშან, როცა მან კათალიკოზს ცოლი მიანიჭა, თუ წელს, როცა ცოლზე უარი უთხრა?

ეს ისეთივე საინტერესო საკითხია, როგორც ისეთი ყუთი, რომელშიც ღმერთი არ უნდა იყოს. დაუფიქრდით ამ საკითხს თქვენც, ჩემო ძვირფასო მკითხველნო!..

ეშმაკი.

საბჭოთა რუსეთი

კომუნისტი (ოსმალოს) მოდი, მოდი გადამეხვიე ყარდაშ, ჩვენ ერთად უნდა ვიხსნათ აღმოსავლეთი და დასავლეთი ბარბაროსებისაგან!.

შექანჯალებულის ლექსები.

ჩარი რამა, ბოშო, ჩარი,
კამათელო, ფანჯი—ჩარი,
კამათელო, შაში—ჩარი.
მსურს ჩავკეტო შიგნით კარი. .
მხოლოდ ჩემს ცოლს ყავს აქ ქმარი,
სხვა სულ მარტო ცოლებია,
რომელთაც აქ არა ჰყავთ ქმარი,
მე ვარ მათი კომისარი,
ჭკვაზე შევცდე ლამის არი,
ბბა, შენ, სთქვი გენაცვალე—
აქ ცოლები დამითვალე—
ერთი არის, განა ასი?!
ვინ გონჯი და ვინ ძვირფასი,
ბბა, მათ ვით უთვალყურო,
მარტო როგორ ვემსახურო?..
ვინ სად წავა, ვინ სად მოდის,
(შენ გაიგე საქმე ფლიდის)
ვინ ვისთანა დროს ატარებს,
ბავშკებს ვინ სად დაატარებს,
„სალხინოში“ა თუ „შტაბში“,
ვინ ვის მალავს ტახტქვეშ, შკაფში,
მათ ვინ ზვერავს, ვინ უყურებს,
ვინ სად ფონცქობს, სედ კურკურებს,
თუმცა მე ვარ მათი მცველი,
მაგრამ ბევრი არის სქელი,
„გახდომა“ რომ განუზრახავს,
და „განზრახ“ თუ თავს „ილახავს“
ხელი როგორ შეუშალო,
ან და როგორ დაუშალო.—
(ლაქის ჭკვაზე შევიშალო!)
ეხ! ჯარდაბას!.. ვიტყვი... მაგრამ
გამამართლოს ბბა მე რამ?—
—როცა შაბათ მოვა ქმრები...
შუბლზე თუ დააჩნდათ რქები—
ხათაბალა ძმავ ის არი—
—მომკლან მათი კომისარი—
რომ მომთხოვონ ანგარიში
(მე ამის მკლავს მხოლოდ შიში...)
მაგრამ ვიცი ამის ხერხი:
„არ გადასდგათ არსად ფეხი“!
ვეუბნები შაბათს ცოლებს,
სადაც არის, ქმრები მოვლენ...
ხელი პირი დაიბანეთ,
ბავში თქვენთან მოიყვანეთ,
ჩაიცვით და მოიკაზმეთ
და ისხურეთ აიაზმით
თქვენ ცოდვილი თქვენი თავი—
(არ შეეყაროდ ბედკრულს ავი)
თავი ერთობ მოიდინჯეთ—

საბჭოთა რუსეთი

კომუნისტი ცდილობს, რომ ის თავისი რეკლამის მიხედვით იცნონ..

(და სინდისი გაისინჯეთ)—
და გამომყავს შაბათობით
მე ცოლები ათასობით
თვისი ქმრების შესახვედრათ,
მხიარულად, კოხტად, თეთრად,
მყავს სულ ყველა მოკაზმული—
(ცხვირ-პირზე თეთრ პუდრ წასმული)
ბავშვებითურთ დარაზმული—
აჰა, მოჰქრის ეტლი წყვილი,
ბავშვებს აუტყდათ სიცილი...
„პაპა“ მოდის! „პაპა“ მოდის!
არის ერთი ჟრიამული,
სიხარულით უძგერთ გული,
დედებს კი .. რა მოგახსენოთ...
(ავად აბა ვინ ვახსენო
თუ საბუთი არ მაქვს სწორი)...
რა ტურფაა ეს კოჯორი—
ცის უბეში ანატყორცნი
მის ზურმუხტ ტყეს მკერდს ვუკოცნი.
თუმც ბევრ ცოდვებს კი იფარავს,
თუმცა თავის ზურმუხტ კარავს
ბევრის გული გაუბზარას..
ჰო, მე იმას მოგახსენებთ...
(რავქნა, რა ვსთქვი?... ვერ ვიხსენებ)
ჰო, ქმრები რომ მობრძანდება—
მყის კოჯორი დაწყნარდება—
თავის დონეზე დადგება..
წესრიგია ყველგან სრული..
(მაშინ ქმრებია მოსული)
ამას ვამბობ თქვენთან ფრთხილად—
და არ ქმრებთან გასამხელად...
თორემ ეს მათ რომ გაიგონ,
ვაჰ, თუ ფეხს ქვეშ მე გამიგონ,
მათი ნდობით აღჭურვილი—
მათი ცოლთა კომისარი—
რომ მე იმათი სურვილი
ვერ სრულ ვყავი, წიხლი ვკარი...
მაგრამ, ღმერთო, შენ კი იცი—
(მე არ მიყვარს ტყვილად ფიცი,)
ევა თვით შენ ვერ დათრგუნე—
აბა მე ვით გამამტყუნე?
ხომ კი იცით ქალთა ტომი?
(ხაჰაპური მაწყენს ცომი!)
და ისევ ორშაბათობით
ქმრები ტფილისს ათასობით
ბრუნდებიან დანაწყნარი...

საბჭოთა რუსეთი

მაგრამ მას, ე. ი. კომუნისტს, უფრო ადვილად და შეუცდომლად სუნით სცნობენ ხოლმე.

მაგრამ საქმე, ძმავ, ის არი,
ცოლები რომ აცილებენ
(შიშს და ფიქრებს იცილებენ)
მამებს შვილნი მისტრიან—
გულრწფელ ცრემლსა დააღვრიან..
ცოლები?.... რა მოგახსენოთ?!
ვფიქრობ გაზეთი გამოვსცე
„მოამბე“ იქნეს კოჯორის,
საშვალება ყველას მივსცე—
ცნობა ამბის მხარის შორის,
(სულ სიმართლის, და არ ჭორის)
მაგრამ.... რა ვსთქვი: აქ კოჯორში
ყველაფერი ასად ძვირობს,—
ტფილისელი გაზეთები
ორ თუმნად ღირს—არვინ კვირობს,
აბა თქვენ სთქვით, რომ გავყიდო
მე „მოამბე“ მაქ კოჯრელი,
ფასი უნდა გავადიდო
ამბებით ვქნა ის მე ჭრელი—
თქვენვე ბრძანეთ—იმდენს მომცემთ
რაც „მოამბე“ დამიჯდება.
არა, ჭკვაში არ მიჯდება.
რომ ზარალი მე აქ ვნახო
ქმრებს კი ძილი გაუტეხო....
ძალმიძს მე თქვენ გადმოგძახოთ
არსენალის მთამ სთქვას „ЭХО“
და გაუწყოთ ყველაფერი....
ცოტ-ცოტა ხომ მომდის ფერი..
ღვდლებს მოუნდათ სეფისკვერი.

შექანჯალებული.

მოაგარაკის დღიური.

I

მარტოხელი კაცი ვარ: ცოლი არ მაწუხებს და შვილი. არც უცოლშვილობა მაღონებს საიმისოთ: ღვთის მადლით, სიბერე შორს არის—ყველაფერს მოვესწრები. ჯერ—თავო და თავო, მერე—ცოლო და შვილოო. მეც ჯერ ჩემი თავისთვის ვზრუნავ, რადგან კარგათ ვიცი,—თუ ჩემ თავს არ ვეცი პატივი და რიგიანათ არ შევინახე, ეს იქნება ღალატი არა მარტო ჩემი თავისა, არამედ მომავალი ჩემი ცოლშვილისა. ხოლო ვინაიდან ოჯახისა და შთამომავლობის მოღალატეთ გახდომა არა მსურს,

საბჭოთა რუსეთი

კომუნისტმა განიზრახა მთელი ქვეყნიერობის ცეცხლში გახვევა და თავისი ბროშურები შეუნთო.

ვცდილობ არაფერი დავაკლო ჩემს თავს და საუკეთესოთ ვიცხოვრო.

ეხლა ადვილათ მიხვდებით, რა მოსაზრებამ გადამაწყვეტინა ამ ზაფხულს საგარაკოთ წასვლა.

ხვალ დილით მივდივარ. ბარგი-ბარხანა ჩალაგებული და შეკრული მაქვს. დილის შვიდ საათზე სადგურზე ღნდა ვიყო, რვის ნახევარზე გავეგზავრები საგარაკო მატარებლით და ორ საათზე ბორჯომში ვიქნები. თუ მოვახერხე, ხვალვე გავსწევ აბასთუმანისაკენ, თუ ვერა და ხვალ ბორჯომში გავათევ ღამეს და ზეგ დილით გავუდგები ნაადრევათ, რომ შუადღემდე მაინც მივიდე.

რა კარგია! მშვიდობით, მტვერიანო და გაუჩუმებულო თბილისო, თონესავით გახურებულო და ოფლიანო! ძირს პოლიტიკა, ძირს ანტანტა, ლოიდ-ჯორჯი, ქემალფაშა, ძირს კლუბი და კოპწია, შეცხებული ქალები! იქ, ჩვენი მშვენიერი ბუნების მშვენიერს წიაღში მიმელის საოცნებო დუმილით მოლაღადე გრილი და უმწიკვლო ფიჭვნარი, რომლის სილრმე ტაძრის საკურთხეველსა ჰგავს, ხოლო თითოული ხე—უმანკოსა და ახოვან ქურუმ-ქალს, ან კიდევ წმინდა,კელაპტარს.

ახლა შუა ღამეა. დია ფანჯარაში დაქანცული ქალაქის მთქნარებას და ზმორებას ვგრძნობ. მკაფიოდ მოისმის ქუჩაში მიმავალ დაგვიანებულ გამვლელთა ქუსლების ბაკი ბუკი... კმარა! დროა, დავწვე და უკანასკნელად ვიგემო ამ ზაფხულში შფოთიანი და მოუსვენარი ძილი მხურვალე თბილისისა...

მაშ, ღამე ნებისა! ხვალ დილით მივდივარ! ვტოვებ დაოცხრომელსა და მუდამ მოძრავ ქალაქს, სადაც მოწყენას ადგილი არა აქვს, რადგან მოწყენისათვის კაცი ვერც კი მიიცლის და მივეშურები ყრუ ტყეში. იქაური მოწყენის არ მეშინია! გასართობათ ეს დღიურიც მეყოფა... ვეცდები, ყოველივე ჩემი განცდა, ნააზრევი და ნაფიქრი გულწრფელათ და კეთილ სინდისიერათ გადავიტანო ამ დღიურის ფურცლებზე... ღამე მშვიდობისა!

თაგუნა.

საბჭოთა რუსეთი

მაგრამ რუსის გლეხმა სხვანაირათ განსაჯა და ცდილობს ცეცხლი კომუნისტის სავარძელ ქვეშ გადმოიტანოს.

ხალხური ლექსის ნაწყვეტი.

(დაწერილი ფშავხევში №–ის მიერ).

ეთერსა ლერწამ ტანისას, გიშრის თმით მოელავარესა,
შავი ჭმუნვისა გამფანტავს, რომ ხიბლავს არე მარესა;
მის ზურმუხტ თვალთა სხივებსა, მოციმციმ-მომთაბარესა
არა ჰყავს ტოლი სამეფოს ნაზ ფაქიზ მონარნარესა.

კაცი რას აქნევს სამყაროს, კეკლუცს და მორთულ ბუნებას,
იყოს და არას ამჩნევდეს შენს სულსა, შენსა გუნებას;
შფოთავდეს, გული ტოკავდეს არ მორჩილებდეს შენ ნებას;
ეთერო, შენი მზერავი რაით არ ავყვე მე ვნებას?!.

ჯარი დაიძრა, წავიდა მტრის დასახვედრათ შარასა;
დიდი, პატარა იქ იყვეს, მე არსად ვჩანდე არასა;
აქა მიჯნურსა ვუმზერდე რა რიგ ართავდეს ჯარასა,
ვინა უწყოდა თუ ტრფობა გამომილევდა ჩარასა.

ისე ვით წავხდი ვაჟკაცი, ბრძოლას ზურგი შევაქციო,
რაც რომ დღემდის გავაკეთე, ჩემის ხელით მე ვაქციო;
ხიზლი მოყვრის მარად დამხვდეს, იმით შმაგი შევაქციო,
ესე როგორ დავძაბუნდი-მტერი უკან არ ვაქციო!!.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

„მე წინად კომუნისტი ვიყავი. ვმუშაობდი თფილისში კომუნისტურ ორგანიზაციებში. ვმუშაობდი ფრთხილად, მაგრამ მაინც გამიგეს და შემიპყრეს. მეტეხშიც მომათავსეს. მეტეხში ცოტა ხანი დავრჩი, ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველო, რის გამო ჩვენც ყველა კომუნისტები გაგვანთავისუფლეს... წავედი კავკავში. გზაზე ვფიქრობდი: მივალ საბჭოთა კავკავში და ტკბილად მოვისვენებ, იქ ხომ თავისუფლება და თანასწორობა არის და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს მეთქი.

ამ ფიქრებით ჩავედი საბჭოთა კავკავში. აქ სხვათა შორის, ვნახე ლადო დუმბაძე, რომელმაც მითხრა: აი, თქვენ ისადილეთ და შემდეგ მოსასვენებლად ბინებს მოგცემთო. ჩვენც ვისადილეთ საბჭოთა სასადილოში და შემდეგ წავედით ბინაზე. ძირს იატაკი გალაქული იყო, იდგა 7 თუ 8 „სკამეიკები“ დასაჯდომად. დასაწოლათაც აქ უნდა მოვკალათებულიყავი, ძეტი გზა არ იყო! ძეც რას რას გავხდებოდი—მოვისვენე. აგრე ვეყარეთ სამი თუ ოთხი დღე. ჩემი აქ ყოფნის დროს ჩამოვიდა მომხსენებელი თბილისიდან. მოწვეულ იქნა პარტიული კრება. კრებაზე უმრავლესობა თბილისელები ვართ. იქაურები ძალიან ცოტა არის. ვიკითხე ძიზეზი. მითხრეს: განა აქაურ მცხოვრებლებს კოძუნა სწამთ? პირიქით, წინააღმდეგნი არიანო. აქაურები ძალიან ცოტანი არიან პარტიის წევრებიო, მაგრამ ან ახლა თბილისელებმა უნდა გააძაგროთ თერგის ოლქიო.

აირჩიეს თავმჯდომარე. თბილისელი მომხსენებელი შეუდგა მოხსენებას. იგი ამბობს: მე მოვედი თფილისიდან და საჭიროთ ვსთვლი გაგაცნოთ ბურჟუაზიულ საქართველოში ჩვენი მუშაობაო. საქართველოში დღეს თავისუფლად მუშაობს ჩვენი პარტია, თავისუფლად გამოდის გაზეთი. გაზეთებს აუარებელი მკითხველი ჰყავს; ორგანიზაციების მოწყობას უკვე შეუდგენ ციხიდან განთავისუფლებული ამხანაგები. მუშათა კლასი და ჯარი ჩვენია, ჩვენთან ეწერებიან. სახალხო გვარდია არის წინააღმდეგი, მაგრამ აღერბეიჯანმა მაგრად შემოუტია, შიგნითაც ორგანიზაციები ეწყობა და სახალხო გვარდიაც მალე მოსტყდებაო. ჩვენი ციხიდან განთავისუფლება, გაზეთის თავისუფალი გამოცემა და თავისუფალი ორგანიზაციული მუშაობა,—ამბობს ორატორი,— საქართველოს მთავრობის სურვილით კი არ ხდება, არამედ ხდება იმიტომ, რომ წითელმა საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სხ.

დიდი ტაშით დაჰფარეს ეს სიტყვები. კრების გათავებისას მოხდა კავრეკომის საგანგებო რეგისტრაციის კომისიის არჩევა, სადაც იქნა არჩეული, სხვათა შორის „დავახეთქე“, იგივე კარაპეტოვი. ამ მოხსენებისა და კავრეკომის კომისიაში კარაპეტოვის არჩევის შემდეგ სულ გამომეცვალა აზრები... მაგრამ რას იზამ, ვერავის გაუზიარებ შენს მწუხარებას მისთვის, რომ საფრთხე მოგელის.

დავდივარ ჩემთვის ხან კავრეკომში, ხან ბაზარში. იმისიც მეშინია, რომ მითხრან: რატომ კავრეკომში არ დადიხაო.

ვნახულობდი თფილისიდან ჩამოსულებს; ბევრი ჩადგა „ჩოეზვიჩაიკებში“, ერთი ქალიც ჩემი ხაცნობი ქართველი მსახურობდა „ჩეკაში“; ვკითხე, თუ რანაირი სამსახურია „ჩეკაში“—მეთქი; მან მიპასუხა: დაგიფაროს ღმერთმა იქაური სამსახურიდანო. რკინის გული უნდა ჰქონდეს მოსამსახურეს. ძეცივით ეპყრობიან დაჭერილებს. ვერ ავიტანე; ამ დღეებში უნდა დავეთხოვო და სადმე კოოპერატივში ვიშოვო ალაგი.

ძეც ალაგი ვიშოვე კოოპერატივში და საქმე გავიჩინე.

ამ დროს ჩამოვიდა რუსეთიდან წითელი გენერალი, ვინძე მარკოზაშვილი თავის შტაბით, რომელსაც უნდა ეროეწყო ქართველთა დივიზია. ქართველები ყველა აღტაცებით ძიეგებეს მარკოზაშვილის დივიზიაში ჩაწერას. ამით ფიქრობდენ ისინი მიეშველას თავიდან აცილებას, რამდენიმე ასეული კაცი ჩაეწერა მარკოზაძილთან.

ამ დროსვე თფილისიდან ჩამოვიდა საშა გეგეჭკორი, რომელსაც ძიზნათ ჰქონია დასახული თავის კერძო რაზმის მოწყობა. მარკოზაძილის მიერ ქართველთა დივიზიის მოწყობამ ამ საქმეს ბოლო გაუსაოდა. ერთ დღეს მარკოზაშვილის დივიზია იქნა გაწვეული,— ორჯონიკიძე მოვიდა, „სმოტრი“ უნდა მოახდინოს. დივიზია წავიდა „სმოტრზე“, მაგრამ „სმოტრი“ კია რა,—უბედურება გამოდგა: გაიყვანეს ერთ დიდ მინდორში მოტყუებით: უთხოეს, გიძიასტიკა უნდა გათამაშოთო და იარაღი დააწყვეთო. ყველამ ერთ ადგილას დააწყო იარაღი. როდესაც ქართველთა დივიზიამ იარაღი დააწყო, ჩასაფრებული მე-10 არმია ტყვიის მფრქვეველებით გარს შემოერტყა მას. ერთმა ყოფილმა „ძატროსმა“, რომელიც სიმაღლით სამ არშინ-ნახევარზედ მეტი იქნებოდა და სისქითაც ვეებერთელა, ხმა მაღლა დაიღრიალა: „Вы грузины изъ I грузинской дивизіи; вы арестованы и принадлежите особому отдѣлу“. მარკოზაშვილს უბრძანა: „Приказываю—по командѣ веди свою дивизію въ особый отдѣлъ“. შემდეგ გადასცა მე-10 არმიას: „Окружите хорошенько слѣдите зорко, чтобъ не удрали эти грузины“-ო. მეტი გზა არ იყო: ქართველები დამორჩილდნენ და წაიყვანეს საგანგებო განყოფილებაში. ღამის 11 საათამდე იქ იყვნენ დატყვევებულნი. შემდეგ ისევ მარკოზაშვილის შუამდგომლობით გამოუშვეს. რამ იდენიმე

დაიტოვეს. მარკოზაშვილის დივიზიის განიარაღებამ იქედი დაუკარგა ქართველებს. მაგრამ არც ამას დასჯერდა წითელი საბჭო. მეორე დღეს თვით მარკოზაშვილს დაეცნენ დასაჭერათ. მან დროზე გაიგო და დაიმალა, მაგრამ სამი დღის შემდეგ აგენტების საშუალებით მარკოზაშვილს ალყა შემოარტყა საშა გეგეჭკორმა და დაიჭირა. დახვრეტა უნდოდათ, მაგრამ რაღაც შემთხვევით მარკოზაშვილი გადარჩა დავრეტას და ციხეში იქნა გაგზავნილი. ამ დღიდან იწყეს ქართველების დევნა. მათ ბრალათ სდებდენ მარკოზაშვილთან სამსახეოს და გზავნიდენ „ჩრეზვიჩაიკაში“.

უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ დარჩენილ ქართველებმა არ იცოდნენ რა ექნათ. ქართველები, რომლებსაც ვხვდებოდი, შეწუხებული შემოჰჩივლებდნენ, საქართველოში სიკვდილი მირჩევნია აქაურ სიცოცხლესო; სიმშილს გაუძლოთ, თუ სიტიტვლესო. მართლაც სიმშილი იზრდებოდა: კერძო ვაჭრობა არ არის; პური გირვანქა ღირს 80—100 მან. მდგომარეობა ძალზე რთულია. კოჭა ძაფი ღირს 600—700 მან., ნეძსი 2 ცალი 45 მ., მდარე ღირსების გოგირდის წუმწუმა—75—80მ.

საზოგადოთ, ქუჩებში რომ გაივლი ხშირად შეგხვდება ძიძავალი ქალი რომელსაც ტიტველ ფეხზე ბის ქოშები აცვია, ხევით თასმებით დაძაგრებული. ასე არის მამაკაცებიც, ძალზე დაშიშვლებულნი არიან. ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ სულ შიმველია წითელი ჯარიც. ხშირად მინახავს ასე ტიტველი წითელი ჯარი საკარჯიშოთ. თუ სადეე რაძე ოჯახის ავეჯეულობა შეაჭნიეს,—სწრაფად შეაღებენ კარებს და მოითხოვენ. უარის თქმაზე მსჯელობა მეტია.

ჯარისკაცებს შევეკითხე: ასე ჭუჭყიანად რომ ცხოვრობთ, ცოლიც და შვილიც ყაზარმაში გყავთ, რის გულისთვის ბრეზეთ-თქო.—„Голодъ заставляетъ“-ო,—მიპასუხეს. ერთ ერთ ჯარისკაცმა განაცხადა: Здѣсь получаю по 2 ф. хлѣба, а на улицѣ кто мнѣ дастъ; видишь, что фабрики и заводы не работаютъ, а чѣмъ я буду кормиться-о. მისი სიტყვები სრულიად ჭეშმარიტებას შეიცავდა, ვინაიდან მართლაც არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა არ მუშაობს; წარმოება შეჩერებულია და უმუშევრები უსაქმოდ აღამებენ და ათენებენ მთელი კვირის განმავლობაში. მხოლოდ კვირაობით, რათა ხალხს დაუტკიცონ, რომ არ არის კვირა, მოგროვდებიან, ზოგი ნიჩბებით, ზოგი ცოცხებით და გაემართებიან ალექსანდროვის პროსპექტიდან სადგურისაკენ. არის თუ არა სამუშაო, მაინც რაღაცას აკეთებენ ნაშუადღემდე.

ვისაც უნდა ჰკითხო საქართველოზედ გეტყვის: სამოთხეა საქართველო და ჩვენ კი სიცოცხლით სიკვდილს განვიცდითო. საქართველოს რესპუბლიკის ფული აქ ღირს 100 მანეთი—1000 მანეთად, 1000 მანეთი—10,000 მან. სიძვირესაც რომ თავი დავანებოთ საყიდელსაც ვერ იშოვით.

ყველაფერს რეკვიზიციას უშვებიან. უკანასკნელათ იქვე მცხოვრებს, რომელსაც დაეთესათ ოჯახისათვის ქართოფილი, ქერი, ან სიმინდი, მთავრობამ გამოუცხადა: ყანებს ხელი არ ახლოთ, ჩვენ უნდა წავიღოთ ჭირნახულიო, თქვენ კი „კნიჟკებით“ მოგცემთო. მუშა-გლეხები უარზე არიან, ერთ მარცვალსაც არ დავუთმობთო.

როგორც ამომავალი მზის სხივებს,—ისე შენატრიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მასზე ლოცულობენ.

ასეთი სიძვირის, ქართველების ასეთ დარბევის, შიმშილობისა და სიტიტვლის გამო სულ გამომეცვალა აზრები და მიზნად დავისახე, თუ როგორ მოძეწყო ᲧᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ სამშობლოში ისე, რომ მათ არ გაეგოთ.

აღთქმა დავდე ვემსახურო ჩემს სამშობლოს სულით და გულით, სადაც კი საჭირო დავრჩები, ასეთი ანარქიის თავიდან ასაცილებლად. ამისთვის უკვე მაცადინეობა დავიწყე კავკაკში. ვიშოვე კაცი, მთებზე გზის მკოდნე და რაც რამ მებადა, ძისთვის გავიღე შრომის ჯილდოთ; მივეცი 11.500 მ. დონის ფულით, ერთი ვერცხლის საათი, როძელიც ძველი წესების დროს ომში გენ. ბრუსილოვისაგან მქონდა ნაჩუქარი მამაცობისათვის. ძივეცი აგრეთვე ნასესხები ფული საქართველოს რესპუბლიკისა—12.000 მ. და შევუდექით კავკავის ტყიან და ჩონჩხიან მთებს და 3 დღის შემდეგ გამოვედი სამშობლოს საზღვრებში, სადაც ხელ-ახლად დაბადება ვიგრძენი; შიშველ-ტიტველი მოვედი მაგრამ, ასე მგონია, დღეს ჩემზე უკეთესად მორთული და ბედნიერი ერთიც არ არის.

ამიტომ დღეის რიცხვიდან მე გადავსწყვიტე კემსახურო ოავისუფალ სამშობლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და არ შევდგე არავითარ საფრთხის წინაშე, სანამ სული მედგმება.

ირაკლი კიკაბიძე. (ერთობა)

გურული სცენა.

გიტო. ღმერთო, მოსპე და ამოაგდე ახლანდელი ქალების ფესვი, ყოლიფერ უბედურებას მაკენი გამოიგონებენ და შობიან. რავა დამღუპა კაცი, რავა დროს გამიყარა კისერში დანე... ვიფიქრე, იქნება წროულს, თუ პაწა ამინდი დარჩა, ეგება სიმინდი მევიწიო მეთქი. დღე და ღამე არ მძინავს, სახლშიც ხელს უწყობ ქალს და ბაღანას, ეგება ორი პარკი აბრეშუმი აკეთოს მეთქი დი რაცხა პ.წეი ტანის დასაფარი ვიშოვნოთ მეთქი, ახლა... ახლა. . ხომ დევიღუპე კაცი... რავა დროს მერე, დიდ კანში რომ ამევიდა ყაჭი და თავი და ბოლო

რუსული „სოციალიზმი“ ხელოვნებაში.

საბჭოთა რუსეთში, მხატვრობას ფართო ასპარეზი აქვს მიცემული: პლაკატის დამთავრებამდე მხატვრის სიცოცხლე უზრუნველყოფილია.

მორება. რაღა ვქნა ახლა... ნენა, ნენა, ნენა. (მიიძახის გზაში ხმა მაღლა გიტო და ექიმის მოსაყვანად მირბის).

ალმასხანა. (გზაში დაემგზავრება, ისიც რაღაც საქმეზე დაბისაკენ მიდის). რა წაგეკიდა ბიჭო გიტოია, რას მიიწყეველები ამ გზაში, რა დაგემართა, არ იტყვი კაცო?

გიტო. თუ ღმერთი გწამს ალმასხანა, დამანეზე თავი, თუ აქით მოხვალ, გამეიჩქარე და გზაში ყოლიფერს გეტყვი...

ალმასხანა. კი მეტყვი, მარა რაფერ გზდიო კაცო ასე თავმოგლეჯილი რომ მირბიხარ, რა ამბავია?

გიტო. ბიჭო, დამღუპა კაცი, ჩემი ცოდვით საფსე—ჰატკულიამ, იმ შეჩვენებულს ბაღანეს მოსაწყვეტი წაალი დოულევია...

ალმასხანა. რას მელაპარაკები კაცო?!? რავა დეილუპა თლად ქვეყანა!

გიტო. ბაღანე მოუწყვეტია მაგ შეჩვენებულს მაგიზა თავს არ შევიწუხებ ?ე, რაც ქალი მაგას იზამ, იგი რავაა კაცის ბარაზე გასარონიებელი, მარა რავქნა... რა უყო ამ ბასარსხალა ბაღნებს, ერთი მეორეს ზედ ვერ აყენებენ, ისე პატარვანები მყავს, იგენი რომ დამიობლდეს რა მეშველება, ვინ მოუარს იგენს? იმიზა მივრბივარ თავმოგლეჯილი დოხტურთან, ეგება წამომყვეს და სიკვტილს გადავარჩინო იგი სასიკვტილე. ერთი ფუთი სიმინდის საყიდელ ფულს მუუყარე თავი, ვიფიქრე ჰარასკეობაზე წავალ და ვიყიდი მეთქინ, ახლა ქვ უნდა მივაფშხვნა აგი ფული ამ ხლაფორთში და რავიცი ეყოფა მაგი თუ არა...

კომუნისტურ რუსეთში.

— კომუნისტურ რუსეთში ხელოვნება სრულიად თავისუფალია ყოველგვარ ძალდატანებისაგან, რაიც აშკარად სჩანს ამ სურათზე.

ალმასხანა. მართლა საცოდავი ყოფილხარ ბიჭო გიტოია, რავა დროზე შ გშლია ოჯახი?!

გიტო. აბა რას ვჩივი, აბა რას ვტირი მე წყალწაღებული... წახანე ვჩიოდი, იმის არ იყოს... ისე მქონდა სათოხავი მოძალებული, ისე ისე, რომ მე, ერთი კაცი ახლა ყანაში ათასი მანეთი ღირს, ვიფიქრე, დღე და ღამე არ ვძინებ ამ ერთ კვირაში სიმინდის თოხვას ჩავათავებ, სახლში პაწას ქალსაც შეუწყობ ხელს მეთქინ... იმას კი დიეწყო ხელები გულზე... ყანაში წევედი ამდილას და პატკულიას უთხარი: ბეჩა, სადილი პაწა ადრე გააკეთ, დღეს და გამოატანე ციცას, ჰალასიას მეთქი... წავედი, მივედი, თავი არ ამიწევია ტყუილათაი ერთჯერ ზევით, ისე უბაკუნებდი მიწას თოხს... უყურებ, უყურებ, უყორყუტებ, არ სჩანს სადილი. ბიჭო, რა ღმერთი გუუწყდა აწი, ვფიქრობ გუნებაში, ასე რომ არცა როის იგვიანებდა, ბეღლაიდან არ გადმოვარდნილიყოს ჩემი ცოდვით საფსე პატკულიე მეთქი... გეიარა პაწე ხანი და ჩემი პაწა ციცე ჰალასიე, მობღლორინებს, მოტირის და მორბის ჩემსკენ: „ბაბავ და ბაბავ!“ იძახის... გამისკდა გული — რა დაგემართა ციცავ, რა ამბავია მეთქინ — მივაძახე გულ გახეთქილმა.

— ნენაი გახდა ძალიან ავათ და არიქა, გამოიქეციო.

— ციცავ, მართალი მითხარი, ბეღლიდან ხომ არ გადმოვარდნილა მეთქი.

ბეღლიდან არ გადმოვარდნილაო. რაცხა პარაშოკი დალია მწარე კი იყო, მგონი ისე დეიჭყანა, პაწა ხანი გეიარა და უტყდა საშინელი მუცლის ტკივილიო, და აქანა გამომგზავნა, არიქა, მამაშენი ჩამომიყვანეო.

— მაშინათვე მივხვთი ჩემი სიკეთე და გამეფიქეცი შინ; მივედი რას ნახავ?! გადუუმტავებია თვალები ჩემს პატკულიას და ქე კვტება...

— რა მიქენი ქალო, აგი, რეიზა დამაქციე მეთქი...

— ახლა ალარ არის მაგის დროი, თუ შეგიძლია, მიშველე რამე, სასიკვტილო კი ვარ, მარა, ბალნები და ოჯახი შეიცოდეე მაინც მე თუ არ გეცოდებიო... რალას ვიზამდი, მევიგლიჯე თავზე ქუდი და აგია, მოვძუნძულობ აგერ...

ალმასხანა. ვაი საწყალო, რა გაჭირვებაში ყოფილხარ, მარა, ნუ გეშინია, არაფერი უჭირს, კი გადიტანს. შენ რეიზა შეგხვთა, თვარა, აი ჩვენებური ქალები ყოველ კვირაში იწყვეტენ ბალნებს. ზოგი ხინას სვამს, ზოგი ხარის ძირეს ბალახს დანაყავს და სვამს ზოგი რა ვიცი რეით არ იწყვეტს.

გიტო. (გაკვირვებით) რას მელაპარაკები კაცო?! ბიჭო, მაგი რეიზა არ ვიცოდი მე აქნამდი, თუ ასე შობიენ ქალები?

ალმასხანა. აგი თუ არ იცოდი და ჩამორჩენილხარ ცხოვრებას. კაცო, ჭურში ხომ არ გეძინა, ზოსიმეს ცოლი რომ მოკვტა რეით იყო—იგი? ბალანეს მოწყვეტას არ გადაყვა! ყაფლანეს ფუნდრუკიე რო დაუნდომდა და ლოგინიდან ვერ დგება, ბალანეს მოწყვეტით არ დიემართა მაგი... ზურაბეს ანუსიე, კარქოიეს ხვარამზიე, ავთანდილეს სუნდუხტიე, მაგენი ყოველ თვე იწყვიტენ ბალნებს, აგი რეიზა არ იცი, ჩემო გიტოია შენ??!!

გიტო. კი, მარა, კაცო, რეიზა შობიენ ამას აგი ღვთის პირიდან წყეულები, რეიზა გეირყვნენ ასე, რომ ალარ უნდებიენ აი ღვთის მოცემული ბალნების დაბადება და გაზდა... რამ შეაძულა მაგენს აი?!.

ალმასხანა. ჰმ! რუმ უყურო იგენს ლაპარაკში, ან რუმ კითხო, მუუგებ პასუხს თუ? დაგიწყებენ ფილოსოფოლორგას: ბალანეო, თუ კარგათ არ გაზდი, ჯობია, არც კი დაბადო, უფრო ცოდვა არისო, თუ გააკეთებ ქე უნდა შეგეძლოს მისი ადამიანად გამოყვანაო...

გიტო. ბიჭო, აგი კაი, მარა, თუ ასეა, რეიზა აკეთებენ მერე ამ ბალნებს.

ალმასხანა. აგი შენ კითხე აგენს—რეიზა აკეთებენ, გაკეთება ქე სიამუნობენ და გაზდა და დაბადება ჩემო გიტო, რომ კითხო, იმისთანა რაცხას გეტყვიან, რომ გადაგრევენ კაკალ კაცს: აგია, ცოციალური და ეეკონომიური ზიზეზების ბრალია, თვარა ისე რავა მოვიწყვეტთ ბალნებსო...

გიტო. მაგენი კი გამომიწყვიტა გამოიშხვაფა ღმერთმა, რას პროტავენ, რომ წახთენ, დეიღუპენ, იმის მიზეზია, სხვისა არაფერის, მარტო ჭამა-სმაზე და ჩაცმა-დახურვაზე აქვან თვალი და ყური, სხვას არაფერს არ კითხულობენ.. კაცო, თუ ესე **მიედვა აი ბალანეს მოწყვეტა მოდასავი**, ხომ დეიღუპა სოფელი, რეიზა არ აქცევენ მაგას მთავრობა ყურადღებას... მე რომ მთავრობა ვიყო, რავაც კი გუუგებ ამას რომელიმეს, მაშინათვე დევიჭირავდი გამოვალბობ ნაობახში... ვაი, მაგენს გუუწყრა ღმერთი, მაგენს გუუბრიყვებია, მაგ წყეულებს უბედური პატკულიე, აგი ხუთი შვილის დედა... ვაი, მაგენს და რალაი ახლა.

ალმასხანა. შეიდობით, გიტო, მე აქით უნდა გადუუხვიო, ხვალე ყანაში თუ წახვიდე, დამიძახე, ერთ დღეს მოგეხმარები.

გიტო. მადლობელი ვარ, ალმასხან... ხვალე რაც ვიცი რაფერ იქნება ჩემი საქმე.

ლუკ. ობოლი.

„კომუნისტები“.

ადერბეიჯანის ფრონტებზე მთავრობის განკარგულება ყანის დათესვაში მიმდინარეობდა მარა ოსეთის ფრონტზე გავიგე, რომ არ ეხებოდა ხსენებული განკარგულება ბურჟუებს და ჩემი მოწმენდილი საყანეები უპატრონოთ რჩებოდენ „კუთხის საბჭოს“ განმარტებით.

როყზე რომ გადავრეკეთ „საბჭოთ ოსეთი“, „ოტპუსკი“ ვითხოვე და ყანას მივაშურე, მარა თესვა გვიან იყო და ყანის მოზიარის ნათეს მცირე ყანას შეუდექი სამარგილათ.

ყანაში ერთი ახალგაზდა 18—20 წლის კაცი გვესტუმრა და ქირაზე მუშაობის სურვილი განაცხადა თუ თოხს უშოვიდით. უმალვე ჩემი თოხი მივეცი ხელში და მე სახლს მივაშურე თოხიზა და „ნადი“ს სადილის შესატყობინებლათ.

ახალგაზრდა მუშა შემოქმედილი **ალექსი ჩიგოგიძე**, პროფისიით ყანის მუშა და მსოფლმხედველობით „კომუნისტი“ აღმოჩნდა.

კამათიდან გამოირკვა რომ, გურიაში ბოლშევიკების შიიარაღებულ გამოსვლის შემდეგ, ამ ყმაწვილს გული აეცრუებია ბოლშევიკების ორგანიზაციაზე, რადგან იარაღის მიღებაზე ვარი ეთქვა და სამხედრო ორგანიზაციის წყრომა დაემსახურებია.

ჩემ შეკითხვაზე: რატომ არ მიიღო იარაღი გამოსვლის დროს, თუ პარტიის კაცი იყო, მიპასუხა: „იარაღი რომ მიმეღო, როგორ უნდა მესროლა ჩემივე მეზობლებიზა, ანდა ვინც მიიღო და ისროლა რა კაი დღეი დააყენეს იმათო“... მართალია ახალი სოციალისტი იყო და პოლტიკაში ადერბეიჯანის სოციალისტებს მოგაგონებდათ მარა, „ტომრიანების პარტიას“ ძლიერ გმობდა და ხშირად თედორე კალანდაძის და მისი ძმის ვარდენის სიტყვებს იგონებდა მენშევიკების მთავრობის ჩამოგდების და საბჭოთა მთავრობის აღდგენის შესახებ.

მე და ეს ყმაწვილი მიუხედავად სხვადა სხვა მიმართულებისა ძლიერ დავმეგობარდით და ამ ერ-

თი კვირის განმავლობაში სრულიად შინაურ ოჯახის წევრს დაემსგავსა.

კვირა დღეს სახლში ვიყავით და ჩემი თვითმართველი ფიშტოს*) წმენდას შევუდექით, რაშიც კომუნისტი სიამოვნებით მეხმარებოდა და ეტყობოდა ძლიერაც მოსწონდა იარაღი.

ორი დღის შემდეგ ყანაში პროგრამულ ძილის დროს კომუნისტმა რაღაც სიზმარი ნახა და ბოდიშით სახლში წასვლა მოითხოვა. დილით ანგარიში ქართულად (ეხვაო) გავუსწორე (რამაც ძლიერ ასიამოვნა და მალე ისევ ძლიერით დაბრუნება დაჰპირდა) საოზმეზე დამჯდარი დავტოვე სახლში. გზა ნაგომრით ვასწავლე. დავემშვიდობე და მარტომ ყანაში გავედექ.

საღამოს ყანიდან დაბრუნებისას კომუნისტის დიდი მადლობა დამხვდა სახლში.

ქალებისთვის დებარებია ერთკვირაში დავბრუნდები ღვინოს მოვიტან და ყანაში მოგეხმარებითო.

სახლის წინ თეხზე გავიხადე და ჭაზე წავედი ცივი წყლის ამოსაღებად, მარა მეზობლის მურიამ ალარ მაცალა ჩამოურბინა ამ ახალ თეხზე გახდილ ჩემ ცალი ფეხის წუღას სტაცა პირი და გაათრენია. მე ბრაზმორეული გავექანე ჩემი ნაგანისაკენ, რომ თავხიდ მურიას ენანებია ჩემი წუღის მოტაცება, სიჩქარით გამოწეული უჯრა (სადაც „ნაგანა“ მეგულებოდა) იატაკზე დაეცა, მარა ნაგანი არსად იყო. აქით-იქით ვეხითქებოდი უჯრებს, მარა ამაოდ. წუღა მურიამ წაიღო, ნაგანი კი კომუნისტს წაეღო. რისთვისაც ვსთხოვ **შამოქმედის კომუნისტების ორგანიზაციას** გამომიგზავნონ ჩემი თვითმართველი ფიშტო (ნაგანი) მისივე საწყობით ვაზნები და ცალი ფეხის № 28 წუღა.

კომ. სალამით ბუტუნა.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს პატივცემულ თანამშრომელს და ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ ამ დროში არა თუ კომუნისტს, უბრალო ქურდბაცაცასაც კი ვერ ენდობი კაცი. „ეფრთხილეს თავი არა სტკივა“.

ქ. ზესტაფონი

(შორაპნის მაზრა).

შორაპნის მაზრაში არსებულ ყაჩაღთა ორ ჯგუფს გადაუწყვეტია „ბურჟუაზიის (გაძვალტყავებულ გლეხკაცობის) დაბეგვრა“. ჯერ-ჯერობით ეს ორი ჯგუფი აწარმოებს შეტევას „კონტრევოლიუციონურ გლეხობაზე“ ჭიათურისა და კვალითის რაიონების მიმართულებით. ამბობენ, რომ ისინი შესძლებენ მთელი მაზრის აღებასო. მიუხედავათ ადგილობრივი ადმინისტრაციის დაუღალავი შრომისა, ყაჩაღები ფართოდ განაგრძობენ თარეშს. ადმინისტრაცია წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ მაინც უშედეგოთ. გასაკვირალია, თუმცა ადმინისტრაცია არ სდევნის, მაგრამ მაინც ვერ იჭერს!!!

——

ადგილობრივ საკრებულოში ა./წ. 23 ივლისს გამართულ ზესტაფონის მომხმარებელ საზოგადოება „ერთობის“ საზოგადო კრება ფრიად საინტერესო იყო.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გამგეობის წევრმა, ბარნაბ ჯაფარიძემ, გასული წლის ანგარიშების განხილვის დროს მკვდარი და მშრალი ციფრების წარმოდგენით თავი მოაწყინა საზოგადოებას, კრება საერთოდ მხიარულით ჩატარდა. ჩვენს ყურადღებს იპყრობს ის ადგილი, სადაც განმარტებას იძლევა გამგეობის წევრი პ. საყვარელიძე. ეს უკანასკნელი მთელი ცხრა თვის განმავლობაში არწმუნებდა გამგეობის წევრ ბარ. ჯაფარიძეს, რომ მას (საყვარელიძეს) ჯამაგირი არ ერგება, ვინაიდგან გამგეობაში არაფერს არ აკეთებდა.

მაგრამ „ჯიუტ“ ჯაფარიძეს მაინც თავისი გაუტანია, მოუხდენია რა „მორალურ-ეკონომიური“ გავლენა საყვარელიძეზე.

პროლეტარი

ბრძოლა უცოლობასთან.

დასავლეთ ევროპაში დიდსა და სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ უცოლოთა წინააღმდეგ. დაწესებულია კარგა მოზრდილი გადასახადი, განსაკუთრებით უცოლოებზე.

მაგრამ მოგეხსენებათ იძულებითი საშუალება იმდენს ვერაფერს იზამს რამდენსაც მიზან შეწონილი პროპაგანდა და უბრალო მამაშვილური დარიგების სიტყვები.

აი თუ გნებავთ, რომელი გადასახადი გასჭრის ისე, როგორც მოხუცი ლიუტერის სიტყვები, რომელმაც სთქვა:

„ძვირფასო ახალგაზრდებო! შეირთეთ ცოლები, დაქორწინდით! იცით რა მოსდევს ამას!

მყუდრო ოჯახი!

მოსიყვარულე ნაზი ცოლი!

გვრიტივით ლამაზი ტურფა ბავშვები!

განა შეიძლება ქვეყნად უკეთესი რისამე წარმოდგენა?

ხოლო ბედნიერების დასაგვირგვინებლათ ყოველივე ამას დაუმატეთ კიდევ ტკბილი და საოცნებო მოგონებანი უცოლობის დროისა“.

(ჟურნ. „ოპინიონი“).

*) თვითმართველი ფიშტო სამაზვოლდნი რევოლვერია.

საბჭოთა რუსეთი

სამ-პიროვანი მამის პირმშო რუსული კომუნიზმი.

მიიღება ხელის მოწერა

„ეშმაკის მათრახზე"

ჟურნალი თვეში ღირს 60 მან. გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით, ფასის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

ჟურნალში დასაბეჭდათ მიიღება აგრეთვე **განცხადებები**— შეღავათიან ფასებში.

რედაქცია მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, № 24 (ყოფილი გოლოვინის) და ღიაა დილის 8—2 საათამდე.

სახელმწიფო სტამბა